პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 11 თებერვალი 1944 წ. № 29 (6923). ფასი 20 კაპ.

უკრაინელი ხალხის პატრიოტიზმის დემონსტრაცია

„პრავდის" მოწინავე—10 თებერვალი

დღეს მთელი საბჭოთა ხალხი და მისი წითელი არმია დიდი სიხარულით შეიტყობენ ახალი სახელოვანი პატრიოტული მოძრაობის შესახებ, რაც წარმოიშვა საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებულ მიწა-წყალზე. უკრაინის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ, თავიანთი განმათავისუფლებლის — წითელი არმიისადმი ღრმა მადლობის ნიშნად, თავიანთი საბჭოთა სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულების ნიშნად, გადასწყვიტეს უხვი წვლილი შეიტანონ თავდაცვის საყოველთაო სახალხო ფონდში — წითელი არმიის ფონდში. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარისათვის, დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილებში, რომლებიც დღეს ქვეყნდება, უკრაინელი პატრიოტები სთხოვენ მას — მიიღეთ ჩვენი ფულადი დანაზოგი ახალი სატანკო კოლონების, თვითმფრინავთა ახალი ესკადრილიების ასაგებად მშობლიური წითელი არმიისათვის. გერმანელთა უღლისაგან განთავისუფლებული საბჭოთა ადამიანები ცხადჰყოფენ თავიანთ ნებისყოფას გამარჯვებისადმი, თავიანთ ერთგულებას დიდი სამშობლოსადმი, თავიანთ მხურვალე სიყვარულს უკრაინელი ხალხის საუკეთესო მეგობრისა და განმათავისუფლებლის—ამხანაგ სტალინისადმი.

წითელი არმიის ფონდის შექმნას ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა საფუძველი ჩაუყარეს ჯერ კიდევ სამამულო ომის პირველ დღეებში. მაგრამ ეს ფონდი განსაკუთრებით გადიდდა მას შემდეგ, რაც 1942-1943 წლების ზამთარში ტამბოველმა კოლმეურნეებმა გადასწყვიტეს საკუთარი დანაზოგით აეგოთ სატანკო კოლონა, ხოლო სახელოვანმა რუსმა პატრიოტმა — სარატოველმა კოლმეურნემ თერაპონტე გოლოვატიმ თავისი სახსრებით შეიძინა თვითმფრინავი და წითელ არმიას გადასცა.

სამშობლოს პატრიოტთა დიდ თაოსნობას ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხები გამოეხმაურნენ. მოკლე ხანში შეტანილმა თანხებმა 7 მილიარდ მანეთს მიაღწია. ათასობით თვითმფრინავი, ტანკები და ზარბაზნები აგებულ იქნა მშრომელთა სახსრებით. ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა ამ პატრიოტული თაოსნობის მნიშვნელობას. იგი სწერდა: **„საბჭოთა ხალხი უდიდეს ზრუნვას იჩენს თავისი წითელი არმიისათვის. იგი მზად არის მთელი ძალღონე მოანდომოს საბჭოთა ქვეყნის სამხედრო ძლიერების შემდგომ გადიდებას. 4 თვეზე ნაკლებ ხანში საბჭოთა კავშირის ხალხებმა 7 მილიარდ მანეთზე მეტი შეიტანეს წითელი არმიის ფონდში. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ გერმანელთა წინააღმდეგ წარმოებული ომი საბჭოთა კავშირის მოსახლე ყველა ხალხთა ნამდვილი საყოველთაო-სახალხო ომია".**

იმ დროს მილიონობით ჩვენი უკრაინელი ძმები იტანჯებოდნენ ჰიტლერელთა უღელქვეშ. საბჭოთა უკრაინა ოკუპირებული იყო ჰიტლერელი ყაჩაღების მიერ. მხეცური სიძულვილით უსწორდებოდნენ ისინი საბჭოთა ადამიანებს. ისინი ცდილობდნენ მძვინვარე ტერორით გაეტეხათ თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხის ნებისყოფა. მაგრამ უკრაინელმა ხალხმა იცოდა, მას სწამდა, რომ დიდი საბჭოთა სამშობლო, მოსკოვი, წითელი არმია, სტალინი არასოდეს არ მიატოვებდნენ მას გასაჭირში. უკრაინელი ხალხი ელოდა, მას სწამდა, სწამდა და იბრძოდა, მისი საუკეთესო შვილები პარტიზანულ რაზმებში შედიოდნენ, რათა თავიანთი ღონისძიებანი მთელი საბჭოთა ხალხის საერთო ღონისძიებათათვის შეეერთებინათ. ქარს აღმოსავლეთიდან უკრაინის ყველაზე შორეულ სოფლებში მოჰქონდა შემტევი წითელი არმიის საარტილერიო მუსიკა.

წითელმა არმიამ თავისი მძლავრი დარტყმებით სასტიკი დამარცხებანი აგემა გერმანელ ფაშისტებს უკრაინაში. დონბასის, ხარკოვის, დნეპრის მთელი მარცხენა ნაპირის უკრაინის განთავისუფლების შემდეგ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდაექვსი წლისთავის წინ განთავისუფლებულ იქნა უკრაინის დედაქალაქი — კიევი. დღეს საბჭოთა ჯარები უკვე ასობით კილომეტრზე იმყოფებიან კიევის დასავლეთით.

გერმანელი დამპყრობლები უკრაინელი ხალხის სისხლს სვამდნენ, ძალმომრეობდნენ მის მიწა-წყალზე, იტაცებდნენ უკრაინელი ხალხის დოვლათს. სრული მარცხით დამთავრდა ჰიტლერელთა პოლიტიკა უკრაინის კოლონიზაციისა. წითელი არმია ნაბიჯ-ნაბიჯ სწმენდს უკრაინას ოკუპანტებისაგან, მძიმე დამარცხებებს აყენებს მათ. გერმანელთა ათობით დივიზია დამარცხდა უკრაინის მიწა-წყალზე. გერმანელთა განადგურება გრძელდება. ზვენიგოროდკა-შპოლის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები ავიწროებენ გარემოცვის რკალს და სპობენ მოწინააღმდეგის დიდ დაჯგუფებას. ამ დღეებში სავსებით ლიკვიდირებულ იქნა გერმანელთა პლაცდარმი ნიკოპოლის სამხრეთით და დამარცხებულია გერმანელთა ნიკოპოლის დაჯგუფება. დაღუპვა მოელის ყველა გერმანელ დამპყრობს! ნიკოლაევსა და ოდესაში, ვინიცასა და კამენეც-პოდოლსკში, ტარნოპოლსა და სტანისლავში, ჩერნოვიცსა და კოველში, ლვოვსა და დროგობიჩში მყოფმა ჩვენმა ძმებმა და დებმა იციან, რომ მოახლოებულია მათი სრული განთავისუფლების ჟამი.

უკრაინელი ხალხის თავისუფალი შვილები წყევლა-კრულვით იხსენიებენ გერმანელ ოკუპანტებს და მათს საზიზღარ მაჩანჩალებს — უკრაინელ-გერმანელ ნაციონალისტებს. უკრაინის განთავისუფლებული მიწა-წყალის მშრომელნი მთელ თავიანთ ღონისძიებებს იმას ანდომებენ, რომ დახმარება გაუწიონ წითელ არმიას. ენერგიული ტემპებით მიმდინარეობს მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის აღდგენა. ცოცხლდება დონბასი. დონეცის ქვანახშირს უკვე მიჰყავს ფრონტზე სამხედრო ეშელონები. დონეცის ფოლადისაგან მუშები უკვე ამზადებენ ყუმბარებს. უდიდესი გულმოდგინებით შრომობენ უკრაინის ადამიანები მშობლიური ქალაქებისა და სოფლების აღსადგენად. იმავე დროს უკრაინელი პატრიოტები ისწრაფვიან დაეხმარონ წითელ არმიას თავიანთი პირადი სახსრებითაც. ეს მოწმობს უკრაინელი ხალხის ღრმა პატრიოტულ შეგნებას, მის მაღალ მორალურ სულს.

ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრილ გერმანელ არამზადებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ სსრ კავშირის ხალხებს შორის შუღლი ჩამოვარდებოდა, რომ დაიშლებოდა ერთიანი და დიადი საბჭოთა კავშირი. მაგრამ ხალხების საბჭოთა თანამეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა ომის ქარცეცხლში. მტერმა ვერ შესძლო შეერყია სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობა. ურღვევია საბჭოთა ხალხების ძმობა, რომელიც ნაწრთობია უცხოელ დამპყრობთაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის ერთობლივ ბრძოლაში მისი საუკეთესო შვილების დაღვრილი სისხლით. თავდაცვის ფონდში თავისი შენატანით უკრაინელი ხალხი ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს თავის სრულ სოლიდარობას სსრ კავშირის ხალხთა მთელ ოჯახთან.

წაიკითხეთ უკრაინელთა წერილები ამხანაგ სტალინისადმი! სტარო-კერმენჩიკის რაიონის მშრომელებმა შეაგროვეს 1.114 ათასი მანეთი და სთხოვენ ამხანაგ სტალინს აიგოს თვითმფრინავთა ესკადრილია „დონბასის კოლმეურნე". ხარციზსკის მილის ქარხნის მუშებმა, მუშა ქალებმა, ინჟინრებმა და მოსამსახურეებმა 490.000 მანეთი შეაგროვეს თვითმფრინავთა ესკადრილიის — „განთავისუფლებული დონბასის" ასაგებად. ვოროშილოვგრადის ოლქის კლიმოვსკის რაიონის მშრომელთა მილიონ მანეთზე მეტი შეაგროვეს თავდაცვის სტალინურ ფონდში. ქარხანა „ბოლშევიკის" კოლექტივმა 130 ათასი მანეთი შეიტანა სატანკო კოლონა „კიევის" ასაგებად. დნეპროპეტროვსკის ოლქის პერეშჩეპინის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა სერგეი მარტინის-ძე ვეტმანმა და მისმა ცოლმა პრასკოვია რომანის-ასულმა 100 ათასი მანეთი შეიტანეს სატანკო კოლონა „საბჭოთა უკრაინის" ასაგებად. ას-ას ათას მანეთზე მეტი შეიტანეს სტალინოს ოლქის კოლმეურნემ ალექსანდრე პონომარენკომ, ჩერნიგოვის ოლქის კოლმეურნემ პავლე კორიჩენკომ და სხვებმა. ეს სახსრები ხვალ ახალ მრისხანე იარაღად გადაიქცევა. ძვირფასია ფული, მაგრამ ყველაზე ძვირფასი ის პატრიოტული გრძნობაა, რომელიც ამოძრავებს საბჭოთა ადამიანებს და აღაფრთოვანებს მათ თავიანთი სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურისათვის.

უკრაინის მინდვრებში ომობს სსრ კავშირის ყველა ხალხის მიერ შექმნილი იარაღი. ტანკები და თვითმფრინავები, რომელნიც ათავისუფლებდნენ კიევსა და ხარკოვს, დნეპროპეტროვსკსა და სტალინოს, ვოროშილოვგრადსა და ნიკოპოლს ატარებდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის, ტამბოვისა და ბაქოს, სარატოვისა და ტაშკენტის, ჩელიაბინსკისა და თბილისის სახელს. ახლა უკრაინის მიწა-წყალის საბოლოო გაწმენდისათვის, საბჭოთა ბელორუსიისათვის, საბჭოთა მოლდავეთისათვის, საბჭოთა ესტონეთისათვის, საბჭოთა ლატვიისათვის, საბჭოთა ლიტვისათვის მთელი საბჭოთა მიწა-წყალიდან გერმანელ დამპყრობთა სრული განდევნისათვის იბრძოლებენ ტანკები და თვითმფრინავები, რომელთაც ქიმებსა და ფიუზელაჟებზე ექნებათ წარწერები — „კიევი", „განთავისუფლებული დონბასი", „საბჭოთა უკრაინა", „სუმშჩინის კოლმეურნე".

უკრაინის მშრომელთა პატრიოტული თაოსნობა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის და ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მისი მჭიდროდ დარაზმულობის ახალი დადასტურებაა, ეს ახალი დარტყმაა გერმანელი დამპყრობლებისათვის. უკრაინელი ხალხი დაეხმარება წითელ არმიას საბოლოო დამარცხება მიაყენოს გერმანელ ოკუპანტებს!

ამხ. ა. ი. ვიშინსკის გადაეცა ლენინის ორდენი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა გუშინ, 10 თებერვალს, ლენინის ორდენი გადასცა ამხ. ა. ი. ვიშინსკის, რომელიც დაჯილდოებულია დაბადების 60 წლისთავზე საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის (საქდესი).

ავიაცია ნიკოპოლის პლაცდარმისათვის ბრძოლაში

თებერვლის პირველ რიცხვებში გაჩაღდა სასტიკი ბრძოლები მტრის ნიკოპოლის დაჯგუფების ლიკვიდაციისათვის. ჩვენი ჯარების შეტევა გერმანელებისათვის მოულოდნელი იყო. მტერი არ ფიქრობდა, რომ წითელი არმიის ნაწილები ასეთი უგზოობის დროს დაიწყებდნენ შეტევას.

მეტეოროლოგიური პირობები განსაკუთრებით არახელსაყრელი იყო ავიაციის მოქმედებისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სახმელეთო ჯარებმა ავიაციასთან მჭიდრო თანამოქმედებით, დანიშნულ საათზე დაიწყეს შეტევა და სწრაფი, უეცარი დარტყმით გერმანელები განდევნეს მათი პოზიციებიდან.

მტერი ზედიზედ ჰკარგავდა ზღუდეებს და, ბოლოს, დნეპრთან მიმწყვდეული, გაიქცა. ჰიტლერელები ცდილობდნენ დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გაქცევით ეშველათ თავისათვის და გადასასვლელად გამოიყენეს ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდათ. ჩვენი ავიაციის მთავარი დარტყმა მიმართული იყო გადასასვლელების დანგრევისა და მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მოსპობისაკენ ამ გადასასვლელთა რაიონში.

თუ რამდენად ეფექტიანი იყო ჩვენი მფრინავების საბომბო დარტყმა, შეიძლება იმის მიხედვით ვიმსჯელოთ, რომ იმ დღესაც კი, როდესაც მეტეოროლოგიური პირობები ფრენისათვის მეტად ძნელი იყო, მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 7 ტანკი, 91 ავტომანქანა ტვირთიანად და ქვეითი ჯარიანად, 115 საზიდარი, 3 ორთქლმავალი, 14 სარკინიგზო ვაგონი. გარდა ამისა, ამ დღის ჩაძირულ იქნა რამდენიმე ნავი მტრის ქვეით ჯარიანად და ჩახშობილ იქნა ორი საველე და სამი საზენიტო ბატარეის ცეცხლი. ერთ-ერთ აეროდრომზე მოსპობილ იქნა გერმანელთა 13 თვითმფრინავი.

5 და 6 თებერვალს ამინდი გაუმჯობესდა. ამ დღეებში ბომბდამშენებმა, მოიერიშეებმა და გამანადგურებლებმა მოსპეს გერმანელთა 18 ტანკი, თვითმავალი ზარბაზანი და ჯავშანტრანსპორტიორი, 740-ზე მეტი ავტომანქანა, 4 ტრაქტორი, 5 ბენზინგასამართავი, 2 საპონტონო ნავი, 10 კარჭაპი ქვეით ჯარიანად და ავტომანქანებიანად, 3 საბუქსირო გემი, 2 ბორანი, 15 ნავი, რომლებითაც ჰიტლერელები გადადიოდნენ, და ააფეთქეს 3 საწყობი საომარ მასალიანად.

საბჭოთა მფრინავებმა უმაღლესი ოსტატობა გვიჩვენეს. მაგალითად, უფროსმა ლეიტენანტმა კარპოვმა ერთი დღის განმავლობაში სამჯერ წაიყვანა საბრძოლველად მოიერიშეთა ჯგუფი და პირადად მოსპო მტრის ჯავშანტრანსპორტიორი, 10 ავტომანქანა ტვირთიანად და ქვეით ჯარიანად და დაანგრია გადასასვლელი მდინარეზე. მფრინავმა მოსკვიჩევმა და შტურმანმა კოვალენკომ მოიერიშე ბომბდამშენზე ორი პირდაპირი მოხვედრებით დაანგრიეს გადასასვლელი დნეპრზე. მეორე გადასასვლელი დაანგრია უმცროსმა ლეიტენანტმა ვოლკმა.

ჩვენი მფრინავების საბომბო დარტყმათა შედეგად დნეპრის ფსკერზე განისვენებს ჰიტლერელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ბევრი ასეული.

პოლკოვნიკი ი. ესკოვი

მოქმედი არმია, 10 თებერვალი (საქდესის სპეც. კორ.).

საქდესი უარყოფს

შვედურმა გაზეთმა „დაგენს ნიუჰეტერმა" გამოაქვეყნა თავისი ციურიხელი კორესპონდენტის დეპეშა, რომელიც შეიცავს მტკიცებას, თითქოს სოფიაში ჩავიდა „რამდენიმე რუსი ოფიცერი რუსეთის სამხედრო ატაშესთან პოლკოვნიკ სოგოროვთან თანამშრომლობისათვის", თითქოს მოიპოვება საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურთიერთობის შეცვლის სიმპტომები და ა. შ.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ მტკიცებანი, რომლებსაც „დაგენს ნიუჰეტერის" აღნიშნული დეპეშა შეიცავს, თავიდან ბოლომდე ჭორს წარმოადგენენ. მოგონილია „საბჭოთა სამხედრო ატაშეს პოლკოვნიკ სოგოროვის" პიროვნებაც.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

9 თებერვლის ოპერატიული ცნობიდან

9 თებერვლის განმავლობაში **ლუგის** მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დაიკავეს ლენინგრადის ოლქის რაიონული ცენტრი და რკინიგზის დიდი სადგური **ორედეჟი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დასახლებული პუნქტები: **ტუროვკა, პოლოკი, კრასნიე გორი, კემკა, დოლგოვკა, მალოე ზამოშიე, ბოლშოე ზამოშიე, გოგჟიცი, ბანკოვო, ხაბალინკა, ველიკოე სელო, მალიე** და **ბოლშიე ვლეშკოვიჩი** და რკინიგზის სადგური **ზაკლინიე**.

ნოვგოროდის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ძლევდნენ მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს და ეწეოდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის **რადოლი, ოზერევო, ნოვიე გუსინი, ილემცი, სამოკრაჟა, რადჟა, ზმიევა გორა, ვორონინო** და რკინიგზის სადგური **მოიკა**.

ზვენიგოროდკისა და **შპოლის** ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად, თანდათან ავიწროებდნენ გარემოცვის რკალს და დაიკავეს კიევის ოლქის რაიონული ცენტრი **გოროდიშჩე** და დასახლებული პუნქტები **მოსკალენკი, ვიგრაევი, ბუდკოვკა, დერდენი, რუდენკოვი, სახნოვკა, ბროვახი, კირილოვკა**.

აპოსტოლოვოს დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **რადუშნოე, ალექსანდროვკა, ვლადიმიროვკა, მალაია კოსტრომკა, ანდრეევკა, მერეჟინო, ზელიონი ლუგი**.

ქალაქ **ნიკოპოლის** ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დნეპროპეტროვსკის ოლქის რაიონული ცენტრი **ჩკალოვო**, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ლაპინკა, სულიცკოე, ალექსეევკა, კაპულოვკა, პოკროვსკოე, პერევიზსკიე** და რკინიგზის სადგურები **სირკო, ჩერტომლიკი**.

8 თებერვლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 90 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 19 თვითმფრინავი.

10 თებერვლის ოპერატიული ცნობა

10 თებერვლის განმავლობაში **ლუგის** მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ზამოსტიე, ვეტჩინი, ზაოზერიე, კრესტიანსკი ტრუდი, ტოლმაჩევო, ჟელცი, პლოსკოვო** და რკინიგზის სადგური **ტოლმაჩევო**.

ნოვგოროდის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ზვენიგოროდკისა და **შპოლის** ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად, ავიწროებდნენ გარემოცვის რკალს და დაიკავეს დასახლებული პუნქტები **იანოვკა, ნეხვოროშჩი, ზავადოვკა, ნაგოკოვ ხუტორი, სერედინ იარი, იახნოვცი, მლეევი, ბრუზკა** და რკინიგზის სადგურები **ვალიავა, ზავადოვკა**.

აპოსტოლოვოს დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა, საარტილერიო-ნაღმსატყორცნო სროლა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

9 თებერვლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 43 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 24 თვითმფრინავი.

* * *

ლუგის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. N შენაერთის ნაწილებმა შემოვლითი მანევრი მოახდინეს, მოწინააღმდეგეს უკანდასახევი გზა მოუჭრეს და 400-მდე ჰიტლერელი გაჟლიტეს. ამავე რაიონში გერმანელებს წავართვით 10 ქვემეხი, 20 მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი და 70 საზიდარი ტვირთიანად. დღეს ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და რკინიგზის სადგური ტოლმაჩევო, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

* * *

ქალაქ ნოვგოროდის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია 500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებულია 3 ტანკი და 2 თვითმავალი ქვემეხი. საბჭოთა ავიაცია ბომბავდა და იერიში მიჰქონდა მოწინააღმდეგის ჯარებზე. დღის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა ააფეთქეს გერმანელთა 3 სარკინიგზო ეშელონი, მოსპეს მოწინააღმდეგის 8 საველე და თვითმავალი ქვემეხი, 60 ავტომანქანა, საომარ მასალათა საწყობი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მოწინააღმდეგის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ქალაქების ზვენიგოროდკისა და შპოლის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად. N შენაერთის ნაწილებმა გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და დაიკავეს დიდი დასაყრდენი პუნქტი დაბა იანოვკა. სხვა ჩვენი შენაერთის მებრძოლებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტები ზავადოვკა, ნაგოკოვ ხუტორი, სერედინ იარი, იახნოვცი და მლეევი. ამ უბანზე ჩვენმა ჯარებმა გერმანელთა რამდენიმე ქვედანაყოფი მოსწყვიტეს მტრის ძირითად დაჯგუფებას და სპობენ მათ. გუშინ საბჭოთა ჯარების მიერ კიევის ოლქის დაკავებული რაიონული ცენტრის გოროდიშჩეს მისადგომებზე და ქუჩებში დათვლილია ჰიტლერელთა 1.000-ზე მეტი გვამი. გერმანელებს წავართვით 24 ქვემეხი, 65 ტყვიამფრქვევი და 1.000-ზე მეტი ავტომანქანა.

ჩვენი მფრინავები ჰფუშავენ მოწინააღმდეგის ცდებს ტვირთი მიუტანონ გარშემორტყმულ გერმანელთა დივიზიებს. საჰაერო ბრძოლებში ერთი დღის განმავლობაში ჩამოგდებულია გერმანელთა 10 სამმოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავი „იუ-52" და 4 გამანადგურებელი.

* * *

ქალაქ აპოსტოლოვოს დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ერთ რაიონში N ნაწილის მებრძოლები ზურგში მოექცნენ მოწინააღმდეგეს და იერიში მიიტანეს გერმანელთა [illegible] ნაწილზე. ბრძოლის მსვლელობაში მოსპობილია 700-მდე ჰიტლერელი. ტყვედ წამოყვანილია გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მნიშვნელოვანი ჯგუფი. სხვა უბანზე საბჭოთა მებრძოლნი წინ მიიწევდნენ და გაჟლიტეს ჰიტლერელთა სამი ასეული, მოსპეს 15 ქვემეხი და ხელთ იგდეს 95 ავტომანქანა ტვირთიანად.

* * *

ვოლინის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი საფარიდან თავს დაესხა მოწინააღმდეგის კოლონას. პარტიზანებმა მოსპეს 17 ავტომანქანა. მათ შორის ერთი მსუბუქი ავტომანქანა ოთხი გერმანელი ოფიცრითურთ. მოკლულია და დაჭრილია 90 ჰიტლერელი. სხვა რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა ჯავშნიანი მატარებელი.

* * *

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო 31 იანვარს იუწყებოდა, რომ უნგრეთის ჯარები განაგრძობენ უაღრესად აქტიურ მონაწილეობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში გერმანელთა მხარეზე. უნგრეთის დეპეშათა სააგენტოს გადაუწყვეტია უარჰყოს უდავო ფაქტები და დაიმოწმა რა უნგრეთის ავტორიტეტული წრეები, განაცხადა, რომ „უნგრეთის ჯარები მონაწილეობას არ იღებენ ბრძოლებში აღმოსავლეთ ფრონტის მოწინავე ხაზზე".

უნგრეთის ჯარების მონაწილეობა ფრონტის მოწინავე ხაზზე გერმანელთა მხარეზე შემოწმებულია ბრძოლებში. ასობით უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი წამოყვანილია ტყვედ ამ უკანასკნელ ხანს. კანონიერად დგება საკითხი, რას აკეთებდნენ ისინი ბრძოლის ველზე, ამასთან არა ცალ-ცალკე, არამედ მთელი შენაერთებით?

თვით ფაქტი უნგრელთა დატყვევებისა აბათილებს უნგრეთის დეპეშათა სააგენტოს ცრუ განცხადებებს. სულ ამ დღეებში საბჭოთა ჯარებმა ხელში ჩაიგდეს უნგრეთის მე-18 და მე-19 დივიზიებისა და სხვა შენაერთების ჯარისკაცთა დიდი რაოდენობა. ტყვედ წამოყვანილმა უნგრეთის 89-ე საარტილერიო დივიზიონის მე-2 ბატარეის უმცროსმა სერჟანტმა დობოში ფერენცმა განაცხადა: „89-ე საარტილერიო დივიზიონი დაუმატეს მე-19 მსუბუქი ქვეითი დივიზიის 35-ე ქვეითს პოლკს. მე ფრონტზე მოვედი 1943 წლის გაზაფხულზე უნგრელთა ჯარების დიდი ტრანსპორტით. ჩვენ გაგვგზავნეს დონზე დამარცხებული უნგრელთა მე-2 არმიის შესაცვლელად. ჩვენი დივიზია უკვე დიდი ხანია მონაწილეობს ბრძოლებში მან დიდი ზარალი განიცადა. ზოგიერთი ჯარისკაცი, რომელთაც არა სურთ იომონ, ეკითხებოდა ოფიცრებს: „რისთვის მოგვირეკეს აქ?" ამ ცოტა ხნის წინათ ჯარისკაცთა ჯგუფი გაიქცა. გაქცეულნი შეიპყრეს და სამხედრო-საველე სამართალში მისცეს. მათ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და დახვრიტეს უნგრელთა 105-ე ჰოსპიტლის განლაგების რაიონში".

ჰიტლერის საამებლად უნგრეთის მმართველი წრეები დასახოცად მიერეკებიან უნგრელ ჯარისკაცებს და ამავე დროს თვალთმაქცურად აცხადებენ, უნგრელთა ჯარები არ იომებენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზეო. მაგრამ სიმართლეს ვერ დამალავ. ტყვე უნგრელ ჯარისკაცთა ჩვენება ერთხელ და ერთხელ კიდევ ზედმეტად ამჟღავნებს უნგრელ ჰიტლერელებს.

ზვენიგოროდკისა და შპოლის ჩრდილოეთით

მოქმედი არმია, 10 თებერვალი (საქდესის სპეც. კორ.). ქალაქების ზვენიგოროდკისა და შპოლის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად. საბჭოთა ნაწილები არ ასუსტებენ შეტევას არც დღისით, არც ღამით და სულ უფრო და უფრო ავიწროებენ გარემოცვის რკალს.

შემტევებს უხდებათ არა მარტო გერმანელთა ძლიერი წინააღმდეგობის გადალახვა, არამედ სერიოზულ ბუნებრივ დაბრკოლებათა გადალახვაც. გზებში გაუვალი ტალახია, განუწყვეტლივ მოდის წვიმა, ტექნიკით მანევრირება განსაკუთრებით გაძნელებულია. მაგრამ შეტევის ტემპები მაინც არ სუსტდება.

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს საფრენოსნო ამინდი სრულიად არ არის, საბჭოთა მფრინავები კვლავ ურტყამენ მტერს. მარტო ერთი დღის განმავლობაში მოიერიშეებმა მოსპეს გერმანელთა 11 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 52 ავტომანქანა და ბევრი საზიდარი.

არტილერისტები შემტევი ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობილებაში მიდიან და პირდაპირი დამიზნებით უშენენ მტერს. იმ ქვედანაყოფის ბატარეამ, რომლის მეთაურიც არის ოფიცერი პოლიანსკი, მარტო უკანასკნელ ბრძოლაში მოსპო გერმანელთა ოთხი თვითმავალი ქვემეხი და 12 ტყვიამფრქვევი.

მტერი განსაკუთრებით შეუპოვრად იცავს თავის დასაყრდენ პუნქტებს. დამახასიათებელია იმ ორი დიდი სოფლისათვის ბრძოლა, რომლებიც მტრისათვის მეტად ხელსაყრელ ზღუდეებზე მდებარეობენ. N ნაწილის ქვეითებმა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი დაიკავეს იმ დროს, როდესაც მდინარის გაღმა მდებარე ჩრდილო-დასავლეთი ნახევარი ისევ მტრის ხელში იყო. ნაწილის მეთაურმა გამოჰყო ქვეითების ჯგუფი, რომლებმაც ტყით მარჯვნიდან მოუარეს და ფლანგიდან დაარტყეს გერმანელებს. ამავე დროს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გამოვიდა საბჭოთა ქვეითების მეორე ჯგუფი. მტრის გარნიზონი სრული გარშემორტყმისა და განადგურების შიშით იძულებული იყო სასწრაფოდ დაეტოვებინა დასაყრდენი პუნქტი და მეორეზე გადასულიყო ერთად-ერთი გზით, რომელიც მის განკარგულებაში რჩებოდა.

მაგრამ ჩვენმა მოძრავმა რაზმმა იერიში მიიტანა აგრეთვე მეორე სოფლის დასავლეთ გარეუბანზე. ამავე დროს საბჭოთა სხვა ქვედანაყოფები სოფელს მოუახლოვდნენ ჩრდილოეთიდან და ჰიტლერელებს უკანდასახევი გზა მოუჭრეს. მაგრამ მტერს მაინც უპირატესობა ჰქონდა: მის ხელში იყო კიდევ ორი მაღლობი, საიდანაც სროლა სწვდებოდა სოფლის ჩრდილოეთ მისადგომებს. მაგრამ ჩვენი ქვეითები გულადად და მარჯვედ მოქმედებდნენ. თავიანთი შემოვლითი მანევრი მათ ღამით მოახდინეს, უგზოდ, მუხლამდე ტალახში და განთიადისას იერიში მიიტანეს მტრის დასაყრდენ პუნქტზე. ჰიტლერელთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა მოახერხა გაქცევით ეშველა თავისათვის, ძირითადად მტრის გარნიზონი გაჟლეტილ იქნა.

დამახასიათებელი ფაქტი მოხდა N ნაწილში. მეთაურთან მივიდა ადგილობრივი კოლმეურნე ანდრია სტეპანიუკი. მან პერანგი გაიხადა და უჩვენა ღრმა ნაიარევებით მთლად აჭრელებული ზურგი.

— ის რა არის?—ჰკითხა მეთაურმა.

— წყეული გერმანელი! მე მოვედი, რომ შაშხანა გთხოვოთ. სანამ ცოცხალი ვარ, მინდა გერმანელებს ვურტყა.

საღამოს სტეპანიუკი უკვე მოიერიშე ქვეითი ჯარის მწკრივში იყო. უეცრად ტყვიამფრქვევი აახმიანდა, რომელიც ფლანგიდან ითარავდა შემტევთ. სტეპანიუკმა ზოგან ხოხვით, ზოგან კი გადარბენით ტყვიამფრქვევამდი მიაღწია. აღმოჩნდა, რომ [illegible] გამოსულიყო. მაგრამ ტყვიამფრქვევი კვლავ აკაკანდა. ის ანდრია სტეპანიუკი იყო, ჰიტლერელებს რომ ჟლეტდა.

როდესაც ბრძოლა მინელდა, ნაწილის მეთაურმა სტეპანიუკს მიულოცა პირველი საბრძოლო წარმატება და მკერდზე ჩამოჰკიდა მედალი „მამაცობისათვის".

მტრისადმი სიძულვილით გამსჭვალული საბჭოთა მეომრები წინ მიისწრაფვიან. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან თავისუფლდება ახალ-ახალი დასახლებული პუნქტები.

ამერიკის თვითმფრინავთა თავდასხმა ბრაუნშვაიგზე

ლონდონი, 10 თებერვალი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკის მძიმე ბომბდამშენთა შენაერთებმა იერიში მიიტანეს მტრის ობიექტებზე თვითმფრინავთმშენებელ მნიშვნელოვან ცენტრ ბრაუნშვაიგში და გერმანიის აეროდრომზე ჰილზე-რაიენში (ჰოლანდია).

9 თებერვალს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა დაბომბეს სხვადასხვა ობიექტები დასავლეთ გერმანიაში.

დღეს დილით ამერიკის ავიაცია თავს დაესხა ჩრდილოეთ საფრანგეთს.

გერმანელთა ნიკოპოლის პლაცდარმის ლიკვიდაცია

უკრაინის მე-4 ფრონტი, 8 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ.). შედარებით მცირე — 120 კილომეტრი სიგანისა და 35-მდე კილომეტრის სიღრმის პლაცდარმზე, რომელმაც „ნიკოპოლის" სახელწოდება მიიღო, მტერმა თავი მოუყარა რამდენიმე დივიზიას. ამ ადგილას დნეპრზე მარჯვე გადასასვლელები უზრუნველჰყოფდა ამ დივიზიების კავშირს მარჯვენა ნაპირთან და აძლევდა მათ მანევრირების შესაძლებლობას. თავიანთი მარჯვენა ნაპირის პლაცდარმი ჰიტლერელებმა ძლიერ გაამაგრეს, შექმნეს აქ მთელი რიგი საინჟინრო ნაგებობანი და საცეცხლე წერტილების ხშირი ქსელი.

„ნიკოპოლის პლაცდარმის" რაიონში არაერთხელ ჩაღდებოდა დიდი ბრძოლები. ჰიტლერელებს ვიწრო უბნებზე ერთბაშად გამოჰყავდათ 50-100 ტანკი. მათს ქვეით ჯარს ხელს უწყობდნენ მრავალრიცხოვანი საარტილერიო ბატარეები და თვითმავალი ქვემეხი „ფერდინანდები". მაგრამ საბჭოთა მეომრები შეუპოვრად იგერიებდნენ მტრის გაშმაგებულ მოწოლას. მტრის ტანკებს საბჭოთა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებისა და ჯავშანმტვრეველების მძლავრი ზალპებით ხვდებოდნენ. გერმანელთა ქვეით ჯარს ჩვენი მეავტომატენი და მეტყვიამფრქვევენი სპილავდნენ. წითელი არმიის მებრძოლები მამაცობისა და საბრძოლო გაწვრთნილობის ნიმუშებს გვიჩვენებდნენ.

განსაკუთრებულ ოსტატობას ამჟღავნებდნენ არტილერისტები. მარტო ერთი იერიშის მოგერიებისას ოფიცერ ვოლოშინის ქვედანაყოფმა მტრის 18 ტანკი დააზიანა და დასწვა. ოფიცერ ჩეხოვსკიხის არტილერისტებმა ერთ დღეში 10 ტანკი დააზიანეს. გვარდიის ლეიტენანტ ყამარიჩევის ბატარეაზე ერთხელ იერიში მიიტანა 20 ტანკმა. არტილერისტებმა ისინი ქმედითი ცეცხლის დისტანციაზე მოუშვეს და რამდენიმე წუთში დააზიანეს გერმანელთა 7 მანქანა, დანარჩენები კი აიძულეს სასწრაფოდ უკან დაეხიათ. ბრძოლების მარტო სამი დღის განმავლობაში გვარდიის N ნაწილმა დააზიანა და დასწვა 52 ტანკი და მოსპო რამდენიმე ასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამ დღეებში უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და შეუდგნენ მოწინააღმდეგის მიმწყვდევას დნეპრთან. ვერც გერმანელთა გამაგრებულმა წინააღმდეგობამ, ვერც გაუვალმა ტალახმა, რაც თითქმის შეუძლებელს ხდიდა რთული საბრძოლო ტექნიკის გამოყენებას, ვერაფერმა ვერ შეაჩერა საბჭოთა ნაწილებისა და შენაერთების წინსვლა. სადაც მანქანა ვერ გაივლიდა, იქ მებრძოლებს ქვემეხები პირდაპირ ხელით გადაჰქონდათ. როდესაც საომარი მასალა გამოთავდებოდათ, მას ტომრებით ეზიდებოდნენ საპალნის ცხენებით. ოღონდ მხოლოდ წინ და წინ!

გერმანელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს დიდ დასახლებულ პუნქტთან. N ნაწილის მეთაურმა გადასწყვიტა შემოევლო მოწინააღმდეგისათვის და ფლანგიდან დაერტყა მისთვის. ამ გეგმის განსახორციელებლად ერთ-ერთი ქვედანაყოფი უნდა გადასულიყო ჭალაკებზე, რომლებიც წვიმის შემდეგ თითქმის გაუვალი გახდა. მაგრამ საბჭოთა მებრძოლებმა გადალახეს ისინი! მათ გადალახეს აგრეთვე დნეპრის ერთ-ერთი შენაკადი და მთელი ძალით უეცრად დაატყდნენ თავს მტერს. მანევრი წარმატებით დაგვირგვინდა. ჰიტლერელები განდევნილ იქნენ თავიანთი [illegible] გამაგრებული დასაყრდენი პუნქტიდან.

მიუხედავად [illegible], მიუხედავად ჭალაკებისა, რომლებიც ზამთარშიც კი ძნელი გასავლელია, მიუხედავად უგზოობისა და მტრის გაფთრებული წინააღმდეგობისა, ჩვენი ნაწილები წინსვლას განაგრძობდნენ და აიძულებდნენ მოწინააღმდეგეს ზედიზედ დაეტოვებინა ზღუდეები.

ბოლოს, ამინდი შეიცვალა. ქარმა გაჰფანტა მძიმე, დაბლაჩამოწოლილი ღრუბლები. გამოანათა სამხრეთის ბრწყინვალე მზემ. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლეს საბჭოთა მფრინავებმა. ისინი დიდ-დიდ ჯგუფებად ესხმოდნენ თავს მტრის განლაგებას და მასირებულად ურტყამდნენ მას. გერმანელებს განსაკუთრებით დიდი ზარალი მოუვიდათ გადასასვლელებზე. აქ საბჭოთა თვითმფრინავების გამოჩენისას პირდაპირ წარმოუდგენელი ამბავი ხდებოდა.

ზუსტი დაბომბვით ჩვენმა ავიაციამ ძირითადი გადასასვლელები მოუსპო ჰიტლერელებს. ჯარისკაცებმა გაღმა ნაპირზე გადასვლა იწყეს იმ საშუალებებით, რაც ხელთ მოხვდებოდათ. იყენებდნენ ნავებს, ტივებს, მორებს, ფიცრებს, ცარიელ კასრებს. ფაშისტები სამხედრო ტექნიკისა და საკუთრების გადარჩენაზე როდიღა ფიქრობდნენ. ისინი, პანიკური შიშით შეპყრობილნი, მხოლოდ ერთ რამეს ცდილობდნენ: თავიანთი ტყავი გადაერჩინათ. მაგრამ დნეპრის გაღმა ნაპირის მიღწევას ცოტანი ახერხებდნენ.

მაშინ როდესაც ავიაცია გამანადგურებლად ურტყამდა გერმანელებს ჰაერიდან, ჩვენი ქვეითი ჯარი საარტილერიო და ნაღმსატყორცნო ნაწილების დახმარებით სპობდა მტრის არიერგარდებს, რომლებიც საველე სიმაგრეებსა და დასახლებულ პუნქტებს ებღაუჭებოდნენ. გერმანელთა „ნიკოპოლის პლაცდარმის" ლიკვიდაციისათვის ბრძოლების უკანასკნელი დღის დილისათვის საბჭოთა ჯარებმა განდევნეს მოწინააღმდეგე სამი დიდი დასახლებული პუნქტიდან — ზაპოროჟიეს ოლქის რაიონულ ცენტრ კამენკიდან და სოფლებიდან ვოდიანოედან და ბოლშაია ზნამენკიდან, რომლებიც იფარავდნენ გერმანელთა ძირითად გადასასვლელს დნეპრზე. ჩვენმა ქვედანაყოფებმა ფრონტიდან დარტყმებით და ფლანგებიდან შემოვლით აიძულეს ჰიტლერელები გაქცეულიყვნენ.

გერმანელებს უდიდესი ზარალი მოუვიდათ. მარტო ერთ მცირე უბანზე ჩვენმა შემტევმა ნაწილებმა ხელთ იგდეს სხვადასხვა ყალიბის 88 ქვემეხი. გერმანელებს მათი ადგილიდან დაძვრაც კი ვერ მოესწროთ. ცოტა უფრო მოშორებით იდგნენ მიტოვებული საწყობები, ტრანსპორტიორები, 300-ზე მეტი ავტომანქანა.

„ნიკოპოლის პლაცდარმზე" უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტები იყო სოფლები ბოლშაია და მალაია ლეპეტიხა. აქ შეუპოვარი ბრძოლები გაჩაღდა. მტერმა გაშმაგებული წინააღმდეგობა გაგვიწია. მაგრამ ეს უკვე მომაკვდავის უკანასკნელი გაბრძოლება იყო. გერმანელთა გარნიზონები განადგურებულ იქნენ. ამ დასაყრდენი პუნქტების დაცემით მტერმა სავსებით დაჰკარგა თავისი უკანასკნელი პლაცდარმი დნეპრის მარცხენა ნაპირზე.

მტერს კიდევ ერთი ისეთი დარტყმა ეგემა, რომლის ძალა და მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით იქნას შეფასებული.

ა. ვიაზემსკი.

უკანასკნელი ცნობები

გამოფენა „სსრ კავშირი და ჩეხოსლოვაკია ომში"

ლონდონი, 10 თებერვალი (საქდესი). სსრ კავშირთან კულტურული და ეკონომიური კავშირის ჩეხოსლოვაკიურმა საზოგადოებამ ლონდონში გახსნა გამოფენა „სსრ კავშირი და ჩეხოსლოვაკია ომში". გამოფენაზე წარმოდგენილია მასალა, რომელიც ასურათებს სსრ კავშირში მყოფი ჩეხოსლოვაკთა სამხედრო ნაწილების მოქმედებას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, აგრეთვე ექსპონატები, რომლებიც გვიჩვენებენ საბჭოთა ხელოვნების განვითარებას სამამულო ომის წლებში.

გამოფენის გახსნას დაესწრო ბევრი სტუმარი, მათ შორის ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჰუბერტ რიპკა, შინაგან საქმეთა მინისტრი სლავიკი და სხვა ჩეხოსლოვაკიელი მინისტრები, საბჭოთა კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან ლებედევი, ინგლისის დესპანი ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან ნიკოლსი, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს წევრები, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კულტურული მოღვაწენი.

სსრ კავშირთან კულტურული და ეკონომიური კავშირის საზოგადოების თავმჯდომარემ პროკოპ მაქსამ გამოფენის გახსნისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოფენა წარმოადგენს საბჭოთა კავშირის და ჩეხოსლოვაკიის ურთიერთმეგობრობის გამოვლინებას, რაც სულ უფრო მტკიცდება. მაქსამ დამსწრეთ აცნობა, რომ უახლოეს დღეებში დაიწყება ლექციათა სერიის კითხვა საბჭოთა ხალხის ბრძოლის შესახებ.

სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს გამოფენის ექსპონატებისადმი.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 10 თებერვალი (საქდესი). მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იტალიაში იუწყება, რომ ამერიკის მე-5 არმიის ნაწილები განაგრძობენ სასტიკ ბრძოლებს ქალაქ კასინოს ქუჩებში. მტერი გაფთრებულ წინააღმდეგობას უწევს. ამერიკის მე-5 არმიის მთავარი ფრონტის სხვა ადგილებში მოწინააღმდეგემ კონტრიერიშები მიიტანა. ყველა კონტრიერიში მოგერიებულია. ანციოსთან მძიმე ბრძოლები სწარმოებს.

ინგლისის მე-8 არმიის ფრონტზე ცუდი ამინდის გამო მხოლოდ პატრულების მოქმედება იყო.

ავიაცია განაგრძობდა თავდასხმას მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებზე.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 10 თებერვალი (საქდესი). როგორც იუგოსლავიიდან იუწყებიან, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები ყველა ფრონტზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწევიან. 20 დღის განმავლობაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მეორე დივიზიის ნაწილები იბრძოდნენ ჰიტლერელებისა და ბულგარელების საოკუპაციო ჯარების, ნედიჩის რაზმებისა და მიხაილოვიჩის ჩეტნიკების წინააღმდეგ ივანიცის რაიონის ფრონტის უბანზე. ამ ბრძოლებში მოწინააღმდეგემ მოკლულთა სახით დაჰკარგა 220 კაცი, დაჭრილთა სახით—290 და ტყვედწაყვანილთა სახით 80 კაცი. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა ხელთ იგდეს ბევრი დავლა.

გაცკოს მიდამოებში ჰიტლერელ ოკუპანტებსა და ჩეტნიკებთან ბრძოლის დროს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებმა ხელთ იგდეს ბევრი სამხედრო ქონება და არქივი მიხაილოვიჩის თანაშემწისა ჰერცეგოვინაში პეროშიჩისა. ამ არქივში არსებული დოკუმენტები ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ ოკუპანტებსა და მიხაილოვიჩის ჩეტნიკებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა არსებობს.

რუმინელები მასობრივად გარბიან სსრ კავშირის ოკუპირებული რაიონებიდან

სტამბოლი, 10 თებერვალი (საქდესი) აქ მიღებული ცნობებით, რუმინელების გაქცევა ოკუპირებული საბჭოთა რაიონებიდან სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებს. რუმინელი მოხელეები, [illegible] და მრეწველები ყოველგვარ შესაძლებლობას იყენებენ, რათა მალე მიატოვონ ეს რაიონები. ახლა უკვე თვით ოფიციალური ხელისუფალნი ხელს უწყობენ ამ გაქცევას. ჯერ კიდევ ამას წინათ ოკუპირებული რაიონებიდან რუმინეთში შესვლა სასტიკად იყო შეზღუდული. ამჟამად კი რკინიგზების დირექციამ განკარგულება გასცა, რათა ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებიდან წასულ რუმინელებს შესაძლებლობა მიეცეთ უფასოდ წაიღონ „ბარგი", ესე იგი მათ მიერ ნაძარცვი ქონება. ამბობენ, რომ „ზადნესტრიეს გუბერნატორი" ალექსიანუ ოდესიდან ბუქარესტს გადავიდა, და ამ გარემოებამ გააძლიერა პანიკა ადგილობრივ დარჩენილ მის ხელქვეითთა შორის. რუმინელ მძარცველებს ოკუპირებული რაიონებიდან გააქვთ სხვადასხვანაირი მოწყობილობა და ძვირფასი ქონება. ოკუპანტები რუმინეთში მიერეკებიან პირუტყვს და მიჰყავთ შინაური ფრინველი.

რუმინეთის რკინიგზის ტრანსპორტი მეტისმეტად გადატვირთულია. გახშირდა რკინიგზის მარცხი, ამასთან ხელისუფალნი აღიარებენ, რომ ბევრ შემთხვევაში მარცხი საბოტაჟის აქტების შედეგად ხდება. რკინიგზების რაიონში მცხოვრებ მოსახლეობას კატეგორიულად აეკრძალა რკინიგზის ლიანდაგის მახლობლად გამოჩენა.

ჰიტლერელებისა და მათი დამქაშების სისხლისმღვრელი ბოროტმოქმედებანი იუგოსლავიის ოკუპირებულ ტერიტორიაზე

ჟენევა, 10 თებერვალი (საქდესი). იუგოსლავიიდან მიღებული ცნობებით, ჰიტლერელმა ოკუპანტებმა და უსტაშებმა ჩეტნიკებთან ერთად სისხლისღვრით გაუსწორეს ანგარიში ბოსანსკა კრაინის მოსახლეობას. კოზარის სოფლებში ფაშისტი ბოროტმოქმედნი სძარცვავდნენ გლეხებს, სტანჯავდნენ და ხოცავდნენ ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს, აუპატიურებდნენ ქალებსა და ქალიშვილებს. გრადიშკის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ოკუპანტებმა დაჰკლეს და ჭაში ჩაჰყარეს 30 იუგოსლაველი ქალიშვილი. დუბიჩის რაიონში ოკუპანტებმა დასწვეს 133 სახლი და მრავალი გლეხი დახოცეს. ფაშისტი მხეცები დანებითა და ხიშტებით თვალებს თხრიდნენ თავიანთ მსხვერპლთ და სხვა მხეცურ წამებას აყენებდნენ, რის გამოც ადამიანები საშინელი ტანჯვით იღუპებოდნენ. კოსტაინიცის რაიონში ჰიტლერელებმა გააუპატიურეს 40 ქალი და ბევრი სახლი დასწვეს. ნოვსკის რაიონში ფაშისტებმა ჯერ ძალადობა იხმარეს, შემდეგ კი დახოცეს 60 ქალი და მხეცურად აწამეს ბევრი ბავშვი 4-12 წლისა. აღნიშნულია ბევრი შემთხვევა, როდესაც გერმანელი ჯარისკაცები ახრჩობდნენ ერთი წლისაზე ნაკლები ასაკის ბავშვებს. კუპრესისა და გლამოჩის რაიონში ჰიტლერელებმა და მათმა ხელისშემწყობლებმა სულ მთლად გადასწვეს 110 სახლი, რომლებიც წინასწარ გაძარცვეს. უსახლკაროდ დარჩა 1.500 კაცი.

საოკუპაციო ხელისუფალთა მიერ ესტონეთის სს რესპუბლიკაში გამოცხადებული მობილიზაციის ჩაშლა

სტოკჰოლმი, 10 თებერვალი (საქდესი). შვედური გაზეთ „აფტონბლადეტის" ცნობის მიხედვით, ჩაიშალა მოსახლეობის მობილიზაცია, რაც საოკუპაციო ხელისუფლებმა ესტონეთში გამოაცხადეს. გაზეთი აღიარებს, რომ „მობილიზაციამ მეტად მცირე შედეგები გამოიღო", რადგან მოსახლეობის უმრავლესობა თავს არიდებს მას.

ბულგარელი მოხელეების გაქცევა სოფიიდან

ლონდონი, 10 თებერვალი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ სამუშაოდან გადაყენებულია ბულგარეთის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე და მთავრობის 13 სხვა უმაღლესი მოხელე, რომლებიც გაიქცნენ სოფიიდან მისი დაბომბვის დროს და რომლებმაც უარი სთქვეს უკან დაბრუნებულიყვნენ. მოელიან, რომ გამოქვეყნდება ახალი ბრძანებები მთავრობის ბევრი სხვა მოხელის გადაყენების შესახებ, რომლებმაც არ შეასრულეს ბულგარეთის ხელისუფალთა ბრძანება სამუშაოზე სოფიაში დაბრუნების შესახებ.

მიწისძვრის შედეგები თურქეთში

ანკარა, 10 თებერვალი (საქდესი). ოფიციალური ცნობებით, 9 თებერვლისათვის მიწისძვრის მსხვერპლთა რაოდენობა თურქეთში შეადგენს 2.381 კაცს მოკლულთა და 1.583 კაცს დაჭრილთა სახით. დანგრეულია 8 ათასი შენობა. მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში გაემგზავრა თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ჰილმი ურანი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის გმირი ისრაფილ ქემალის-ძე ჯინჭარაძე

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 4 თებერვლის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა უმცროს ლეიტენანტ ისრაფილ ქემალის-ძე ჯინჭარაძეს.

ისრაფილ ჯინჭარაძე პირველი აჭარელია, რომელმაც საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიიღო. იგი ბათუმის რაიონის სოფელ მახინჯაურში დაიბადა. ხუთი წლისა იყო ისრაფილი, მამა რომ გარდაეცვალა. იგი ბაბუამ გამოზარდა. მახინჯაურში მიიღო არასრული საშუალო განათლება, აქვე გახდა კომკავშირელი. 19 წლისა იგი ბათუმის რკინიგზის ტექნიკუმში შედის. 1937 წელს, ავიაციის საქმით დაინტერესებული, მიდის რუსეთში, სადაც ამთავრებს სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის საავიაციო სასწავლებელს. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1942 წელს, მუშაობა დაიწყო ერთ-ერთ საავიაციო ქარხანაში გამომცდელ-მფრინავად. 1943 წ. მაისში მან ფრონტზე წასვლა მოითხოვა. აჭარელი პატრიოტის სურვილი დააკმაყოფილეს და ის ბომბდამშენ თვითმფრინავზე დანიშნეს.

მოკლე დროის განმავლობაში მამაცმა მეომარმა გამოიჩინა ვაჟკაცობა, და გვიჩვენა სამშობლოსათვის თავდადება. მისი საბრძოლო თვითმფრინავი ყველგან რისხვად ესხმოდა მტერს, ამსხვრევდა და ანადგურებდა მის კომუნიკაციებს, სპობდა მტრის ჯარების დაჯგუფებებს, ჰაერიდან უჭრიდა გზებს ჩვენი სახმელეთო ჯარების მედგარი მიძალებისაგან უკუქცეულ გერმანელთა ურდოებს.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად შეაფასა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, მამაცი აჭარელი მფრინავის საბრძოლო დამსახურება. პირველად იგი დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის, ხოლო მეორედ — სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.

ნ. პაიჭაძე.

მიტინგი გმირის სოფელში

(ბათუმი, „კომუნისტის" საკ. კორ.)

ცნობა იმის შესახებ, რომ უმცროს ლეიტენანტ ისრაფილ ქემალის-ძე ჯინჭარაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, ელვის სისწრაფით მოედო მის სამშობლო სოფელ მახინჯაურის მცხოვრებლებს. 8 თებერვალს კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში შედგა ხალხმრავალი მიტინგი, მიძღვნილი ისრაფილ ჯინჭარაძისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებისადმი. მიტინგზე მოვიდნენ აგრეთვე მეზობელი კოლმეურნეობის წევრები, საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი და მოსწავლე ახალგაზრდობა.

მიტინგი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. სანიკიძემ, რომელმაც დამსწრეთ უამბო გმირის ცხოვრებისა და საბრძოლო საქმიანობის შესახებ და მოუწოდა მათ მისი გმირობის საპასუხოდ ყველაფერი გააკეთონ ფრონტის დასახმარებლად, საძულველი მტრის განადგურების დასაჩქარებლად.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ სოფელ მახინჯაურის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, გმირის ყოფილი მასწავლებელი ამხ. ფ. ცქვიტინიძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ო. კილაძე. ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. შ. ჯინჭარაძემ თავისი ბრიგადის სახელით აიღო ვალდებულება 12 თებერვლამდე დაამთავროს ჩაის პლანტაციების გადაბარვა, ვადამდე შეასრულოს საზამთრო სამუშაოები ციტრუსების პლანტაციებში, სანიმუშოდ მოემზადოს საგაზაფხულო თესვისათვის.

მიტინგის დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ გმირის დედას ფატმან ჯინჭარაძეს. „ჩემი შვილისათვის უმაღლესი ჯილდოს მიცემის საპასუხოდ, — სთქვა მან, — მთელი ძალღონით ვიმუშავებ კოლმეურნეობაში, როგორც ეს შეშვენის საბჭოთა კავშირის გმირის დედას".

მდგომარეობა გერმანიაში

ჟენევა, 9 თებერვალი (საკდესი). შვეიცარული გაზეთი „არბაიტერცაიტუნგი" იუწყება რომ, გერმანიიდან მიღებული ცნობებით, იქ ტერორის ახალი ტალღა დაიწყო. არ სწყდება სიკვდილით დასჯა დამარცხების მომხრეობის განწყობილებისათვის და ჰიტლერული რეჟიმის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთათვის.

ლონდონი, 9 თებერვალი (საკდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს ჰიტლერული სააგენტოს — გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობას იმის შესახებ, რომ ბერლინში სიკვდილით დასაჯეს ორი გერმანელი. ერთ მათგანს — სამხედრო ქარხნის 48 წლის მუშას — ბრალი დასდეს იმაში, რომ მან „წამაქეზებელი სიტყვა წარმოსთქვა მსმენელთა დიდი ჯგუფის წინაშე". მეორეს — ქარხნის მოსამსახურეს — ბრალად ედებოდა, რომ დამარცხების სასარგებლოდ ლაპარაკობდა ქარხანასთან არსებულ სასადილოში.

სტოკჰოლმი, 9 თებერვალი (საკდესი). გერმანულ-ფაშისტური გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი" საწარმოებში პოლიტიკური განწყობილებისადმი მიძღვნილ სტატიაში პირდაპირ წინადადებას იძლევა გაძლიერებულ იქნას პოლიტიკური მეთვალყურეობა ყოველ ცალკეულ მუშა-მოსამსახურეზე. გაზეთს საჭიროდ მიაჩნია, რომ ყოველ საწარმოში შემოღებულ იქნას მუშა-მოსამსახურეთა პირადი ბარათები. ამ ბარათებში შეტანილ უნდა იქნას ყველა მონაცემი, რაც ახასიათებს საწარმოში მომუშავეთა „პოლიტიკურ კეთილსაიმედოობას". როგორც გაზეთის სტატიიდან ჩანს, ამ ბარათების შესავსებად საჭირო ჯაშუშური ცნობები უნდა წარადგინონ ჰიტლერული პარტიის წარმომადგენლებმა საწარმოებში, ოსტატებმა და მეწარმეებმა, აგრეთვე სხვა „ნდობით აღჭურვილმა პირებმა".

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და ამერიკის ნავთის კომპანიების შეთანხმება ნავთსადენის გაყვანის შესახებ

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, მთავრობის კორპორაციის „პეტროლეუმ რეზერვსის" თავმჯდომარემ იკესმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს გაიყვანოს დაახლოებით 1.200 მილის სიგრძის ნავთსადენი სპარსეთის ყურის რაიონიდან ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილამდე. ამ ნავთსადენის მშენებლობა 130-165 მილიონი დოლარი დაჯდება, და მისი საშუალებით ამერიკის შეერთებული შტატები 1 მილიარდ ბარელ ნავთის მარაგს შექმნიან არმიისა და ფლოტისათვის.

დეპეშები

ბენეშის გამოსვლა

ლონდონი, 3 თებერვალი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ბენეშმა დღეს ლონდონში მიმართა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს.

ბენეშმა განაცხადა, რომ „მოკავშირეების მიერ 1943 წელს მოპოვებული მთელი რიგი დიდი სამხედრო გამარჯვებანი მოწმობენ, რომ გერმანიის წინააღმდეგ წარმოებული ომის დასასრული უკვე გადაწყვეტილია მოკავშირეთა სასარგებლოდ და რომ 1944 წელი ამ გადაწყვეტილებას მსოფლიოს წარუდგენს, როგორც მომხდარ ფაქტს".

„საიდუმლოებას არ წარმოადგენს, — განაგრძობდა ბენეში, — რომ მოკავშირეები შეთანხმდნენ ეგრეთწოდებული მეორე ფრონტისა და ევროპის კონტინენტზე შეჭრის შესახებ, რომ ამისათვის მზადება ძალზე გაჩაღებულია და რომ გერმანია მალე განიცდის ყოველი მხრივ თავდასხმას. გერმანიის სამხედრო მდგომარეობა ამჟამად ისეთია, რომ გერმანელებს შეუძლიათ მხოლოდ მძიმე თავდაცვითი ომი აწარმოონ, რომლის პროცესშიც მათ, რა თქმა უნდა, შეუძლიათ ერთგვარი დარტყმა აგემონ მოკავშირეებს. გერმანიას სურს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მას შეუძლია გააჭიანუროს ომი განუსაზღვრელი დროით. ჩემი აზრით, ნაცისტური გეგმის შესრულება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ომის დამთავრებამდე მოახდინონ უკანასკნელი ცდა საბჭოთა კავშირსა და დანარჩენ მოკავშირეთა შორის უთანხმოების გამოსაწვევად, ამჟამად პოლიტიკური შესაძლებლობის ფარგლებს გარეთ იმყოფება".

„ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება, — სთქვა შემდეგ ბენეშმა, — უნდა განვიხილოთ არა მარტო როგორც სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის საქმე, არამედ როგორც დიდი პოლიტიკური სისტემისა და დიადი იდეის ნაწილიც, როგორც რგოლი ომისშემდგომი უშიშროების სისტემისა, რომელშიც ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმება მეორე მეტად მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ჩვენთვის ეს ხელშეკრულება წარმოადგენს მუდმივ გარანტიას პანგერმანიზმის ახალი აღმავლობის წინააღმდეგ, „დრანგ ნახ ოსტენის" წინააღმდეგ და განგსტერული შეტევის განმეორების წინააღმდეგ, რასაც მიზნად აქვს გერმანიისათვის საარსებო სივრცის დაპყრობა. იგი წარმოადგენს ჩვენი საზღვრებისა და ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გარანტიას. ჩვენი საერთო მისწრაფება და სურვილი გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ თავდაცვის ამ პოლიტიკის ჩარჩოში დავდოთ კავშირი დამოუკიდებელ, დემოკრატიულ და მეგობრულ პოლონეთთან გულწრფელი და გარკვეულია. ეს მომასწავებელი იქნებოდა ჩვენს სამ ქვეყანას შორის ყოველგვარი უთანხმოების საბოლოოდ გადაწყვეტისა, ამ სამი სლავური სახელმწიფოს მომავლის უზრუნველყოფისა დედამიწის ამ ნაწილში მშვიდობიანობის გარანტიის მიზნით, ამასთან მომავალში გერმანია ვერასოდეს ვეღარ გაჰბედავდა ახალი მსოფლიო ომის პროვოცირებას. ამიტომ ასეთ შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე მშვიდობიანობისათვის მთელს ევროპაში".

„მე შემიძლია განვაცხადო, — განაგრძობდა ბენეში, — რომ საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ყველა პრინციპული და მნიშვნელოვანი საკითხი მოგვარებულია სრული ურთიერთკმაყოფილებით მეგობრულს ჰარმონიაში და ურთიერთსოლიდარობისა და სიმპატიის სულისკვეთებით. ამჟამად დრო არ არის ჩამოვთვალოთ ყველა პრობლემა, რომელთა შესახებაც მოლაპარაკებას ვაწარმოებდით და ურთიერთშეთანხმებას მივაღწიეთ. ეს ცხადი გახდება უფრო გვიან. მაგრამ ჩვენს შორის არ ყოფილა დადებული არავითარი საიდუმლო შეთანხმება. მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არც ერთი საკითხი, რომელიც კი საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას ეხებოდა, განუხილველი არ დარჩენილა. მე მინდა, რომ იმ ადამიანებმა, რომლებიც უკანასკნელ ხანამდე ერთგვარ შეშფოთებას განიცდიდნენ საბჭოების მომავალი გეგმების გამო, გაიგონონ და დაინახონ ყოველივე, რისი დანახვისა და მოსმენის შემთხვევაც მე მქონდა. სტალინი დიდი სტილის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეა, რომელიც განირჩევა დიდი განათლებით, რკინისებური ენერგიითა და პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით. სტალინი და მოლოტოვი განსაკუთრებით მხურვალე საბჭოთა პატრიოტები არიან და ამიტომ მათ შეუძლიათ დააფასონ სხვების პატრიოტიზმი. მათი დიდი სამხედრო წარმატებანი, მათ მიერ ყველა შინაური პრობლემის მარჯვედ გადაწყვეტა და მათი წარმატებანი ომიანობის დროის დიპლომატიასა და სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობაში ომის მანძილზე თვითონ მეტყველებენ ამ ორი ადამიანის თვისებებზე. საბჭოთა რეჟიმი მტკიცეა, საბჭოთა რევოლუცია ძლევამოსილია. საბჭოთა კავშირს შეგნებული აქვს თავისი გამარჯვება ომში, ამაყობს მით და ევროპისა და მთელი მსოფლიოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში თავისი მონაწილეობით, დემოკრატიის დაცვით ნაციზმის წინააღმდეგ".

იმ ამოცანების შესახებ განცხადების შემდეგ, რომლებიც ჩეხოსლოვაკიელი ხალხის წინაშე დაისმება, როდესაც მეორე ფრონტი გაიხსნება, ბენეშმა სთქვა: „ჩვენ ვეცდებით, რომ მოძრაობა განთავისუფლებისათვის სამშობლოში და უცხოეთში ერთიანი იყოს და პირველი შესაძლებლობისთანავე შევქმნით ახალ მთავრობას, შემდგარს უწინარეს ყოვლისა იმ ადამიანებისაგან, რომლებიც სამშობლოში იმყოფებიან, და ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან, რომლებიც საზღვარგარეთ არიან".

გენერალ მონტგომერის გამოსვლა

ლონდონი, 3 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, 2 თებერვალს ინგლისის შეჭრის ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა ბერნარდ მონტგომერიმ სიტყვა წარმოსთქვა ჯარების წინაშე სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის ერთ-ერთ ქალაქში და განაცხადა, რომ იმ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად, რომლებსაც ჩვეულებრივად მეორე ფრონტს ეძახიან, ამჟამად თავს უყრიან ყველა სახეობის ჯარების მეტად დიდ ძალებს და რომ მას სურს შეხვდეს ამ ჯარებს, რათა ჯარისკაცებს შეეძლოთ მისი გაცნობა.

„ომის დასაწყისში, — განაგრძობდა მონტგომერი, — ჩვენ არ შეგვეძლო განგვეჭვრიტა, თუ როგორ შეიძლება ომი დამთავრდეს. მაგრამ დღეს საქმე ასე როდია, სრულიადაც ასე როდია. დღეს უკვე ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ დამთავრდება ეს ომი. ერთადერთი რამ, რისი ცოდნაც დღეს ჩვენ არ შეგვიძლია, — ეს არის მისი დამთავრების ზუსტი თარიღი. მაგრამ ჩვენ უნდა დავძაბოთ მთელი ძალები, რათა ბოლო მოვუღოთ ომს ამ წლის განმავლობაში. ჩვენ შეგვიძლია ეს გავაკეთოთ და კიდევაც გავაკეთებთ. თქვენ და მე ერთად შევასრულებთ ამ ამოცანას".

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 9 თებერვალი (საკდესი). იტალიაში მოქმედ მოკავშირეთა ჯარების მთავარი ბანაკი იუწყება, რომ ამერიკის მეხუთე არმიის ძირითად ფრონტზე ინგლისის და ამერიკის ნაწილებმა წინ წაიწიეს. კასინოს მიდამოებს და თვით ქალაქში გააფთრებული ბრძოლები მოხდა. მოწინააღმდეგე განაგრძობს მეხუთე არმიის პოზიციების დაზვერვას ანციოს ხიდწინა სიმაგრეზე. ინგლისის მერვე არმიის ნაწილებმა მძიმე ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგის დიდ მზვერავ რაზმს. ყველა ფრონტზე პატრულების აქტიობაა.

მოკავშირეთა ავიაციამ 1.500-ზე მეტი თვითმფრინავ-გაფრენა მოახდინა და იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მთელ რიგ ობიექტებზე.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ 7 თებერვალს რომის სამხრეთით საჰაერო ბრძოლები მოხდა.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 9 თებერვალი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 9 თებერვალს დილით ამერიკის თვითმფრინავებმა, რომლებსაც ინგლისის და მოკავშირეთა ავიაგამანადგურებლები ახლდნენ და იფარავდნენ, იერიში მიიტანეს სამხედრო ობიექტებზე ჩრდილოეთ საფრანგეთში.

8 თებერვალს ღამით ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ მტრის ობიექტებს გერმანიასა და საფრანგეთში.

8 თებერვალს დილით ფრანკფურტზე ამერიკის თვითმფრინავების „მფრინავი სიმაგრეების" დიდი შენაერთების თავდასხმის დროს ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის 19 თვითმფრინავი.

8 თებერვალს დღის განმავლობაში მოკავშირეთა ავიაციამ იერიში მიიტანა ჩრდილოეთ საფრანგეთში მდებარე ობიექტებზე.

ჰელი ფინეთისადმი ა. შ. შტატების მიმართვის შესახებ

ვაშინგტონი, 8 თებერვალი (საკდესი). პასუხი გასცა რა პრესის წარმომადგენელთა შეკითხვებზე სტოკჰოლმის ცნობის გამო იმის შესახებ, რომ შეერთებულმა შტატებმა ურჩიეს ფინეთს რაც შეიძლება მალე გამოვიდეს ომიდანო, ა. შ. შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა სთქვა, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ, როგორც იგი უკვე არაერთხელ მოქცეულა წინათ, ამას წინათ ისარგებლა შემთხვევით, რათა განეცხადებინა ფინეთის მთავრობისათვის, რომ პასუხისმგებლობა გერმანიასთან ფინეთის თანამშრომლობისა და მის მიერ ა. შ. შტატების მთელ რიგ მოკავშირეებთან, მათ შორის საბჭოთა კავშირთან და ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობასთან ომის განგრძობის შედეგებისათვის მხოლოდდამხოლოდ ფინეთის მთავრობას უნდა დაეკისროს.

პარტიზანების აქტივობა ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში

ლონდონი, 9 თებერვალი (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ გერმანელი კოლონისტები სასწრაფოდ გარბიან ლატვიიდან, ლიტვიდან და ესტონეთიდან. ეს გამოწვეულია, კერძოდ, პარტიზანული რაზმების აქტივიზაციით. იმოწმებს რა შვეციის რადიოს ცნობას, ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ შეიარაღებული პარტიზანული რაზმები ხელს უწყობენ წითელი არმიის ნაწილებს, რომლებიც ფინეთის ყურის სანაპიროზე მოქმედებენ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში

პარტიული ჯგუფების მუშაობის შესახებ ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის საწარმოებში

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიურომ განიხილა ლენინის რაიონის საწარმოებში პარტიული ჯგუფების მუშაობის საკითხი და აღნიშნა, რომ პარტიული ჯგუფები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, საწარმოებში პარტიული ჯგუფების უმრავლესობა სათანადო ყურადღებას არ აქცევს მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს. სატრიკოტაჟო კომბინატის პარტიული ჯგუფები 1943 წლის ივლისიდან ერთხელაც არ შეკრებილან. მე-5 სავაგონო უბნის 9 პარტიული ჯგუფიდან 6 ფორმალურად არსებობს. სუსტად მუშაობენ მე-4 სავაგონო უბნის პარტიული ჯგუფები. ანალოგიური მდგომარეობაა რაიონის სხვა საწარმოებშიც (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, № 7 სამკერვალო ფაბრიკა, სამგზავრო სადგური და სხვ.).

საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროები არასაკმაოდ მუშაობენ პარტჯგუფორგებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების საკითხებზე, თვალყურს არ ადევნებენ მათს იდეურ-პოლიტიკურ ზრდას, არ ატარებენ მათთან საუბარს პარტიული მუშაობის საკითხზე, არ განაზოგადებენ პარტიული ჯგუფების მუშაობის დადებითს გამოცდილებას, მათს ანგარიშებს არ აყენებენ პარტბიუროზე, პარტიულ კრებებზე და სხვ. რაიონის ბევრ საწარმოში (თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა, 26 კომისრის სახელობის ქარხანა და სხვ.) პარტიული ჯგუფები არ არის შექმნილი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილებით პარტიის ლენინის რაიკომს და რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ გადაჭრით გააძლიერონ პარტჯგუფების მუშაობის ხელმძღვანელობა, პარტჯგუფორგებთან რეგულარულად ჩაატარონ თათბირები, საუბრები პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ცალკეულ საკითხებზე, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტებისათვის, პარტიული მუშაობის გაზიარებისათვის და ამით პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მათ ყოველდღიურ მუშაობაში.

ბიუროს სხდომებზე და პარტიულ კრებებზე შემოწმებულ და განხილულ უნდა იქნას პარტიული ჯგუფების მუშაობის საკითხები და უნდა დაისახოს პრაქტიკული ღონისძიებანი მასობრივ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის გასაუმჯობესებლად.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიული ჯგუფების აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას, აქტიურ პარტიულ-საზოგადოებრივ მუშაობაში ყველა კომუნისტის ჩაბმას, მათს დასწრებას ლექციებზე, მოხსენებებსა და საუბრებზე, რომლებსაც რაიკომის პირველადი პარტიული ორგანიზაცია და პარტიის საქალაქო კომიტეტი აწყობენ.

პარტიული ჯგუფების მუშაობის ცენტრში დაყენებულ უნდა იქნას შრომის ნაყოფიერების გადიდების, სამუშაო დღის შემჭიდროების, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, ნედლეულის, მასალების, ინსტრუმენტების, ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის, ახალგაზრდა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხები.

რაიონის პარტიულ ჯგუფებს ევალებათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მუშათა შორის პოლიტიკური მუშაობის სისტემატურ წარმოებას, მათს მობილიზაციას საწარმოო გეგმების აუცილებლად შესრულებისათვის, წარმოებაში პარტიის წევრებისა და კანდიდატების წამყვანი როლის უზრუნველყოფას, სოციალისტური შეჯიბრების მოწყობას და თითოეული მუშის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საამქროთა სამეურნეო ხელმძღვანელებს შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და საწარმოო გეგმების შესრულებაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომს წინადადება მიეცა გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა და დახმარება პარტიული ჯგუფებისადმი, მიაღწიოს მათი მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას; მოაწყოს პარტიული ჯგუფები 26 კომისრის სახელობის ქარხანაში, ავტოსარემონტო ქარხანაში, პჩ-6-ში და სხვა საწარმოებში, სადაც საამქროებსა და აგრეგატებში საკმაო რაოდენობით არიან კომუნისტები.

სრულიად-რუსეთის თათბირი სკოლების მუშაობის შესახებ

გუშინ, 9 თებერვალს, მოსკოვში დამთავრდა სახალხო განათლების საოლქო და სამხარეო განყოფილებათა სასკოლო სექტორების გამგეებისა და ასს რესპუბლიკების განსახკომების დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოთა უფროსების სრულიად-რუსეთის თათბირი. თათბირი მიეძღვნა წლის პირველნახევარში მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას და სახალხო განათლების ორგანოების წინაშე ამჟამად მდგომ პირველი რიგის ამოცანებს. თათბირმა მოისმინა რსფს რესპუბლიკის განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსის ამხ. პარფიონოვას მოხსენება სკოლების მუშაობაზე კონტროლის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის აღრიცხვის დაყენების შესახებ და პროფესორ მარკოვის მოხსენება „მოსწავლეთა ყოფაქცევის წესების" შესრულების შესახებ.

დიდი ინტერესით მოისმინეს მოსკოვის სკოლების დირექტორების — ამხანაგების ნოვიკოვის, მარტიანოვას, კონოვალოვას და სვერდლოვსკის სკოლის დირექტორის — ამხანაგ მაკოვკინას ცნობები ვაჟთა და ქალთა სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის თავისებურებათა შესახებ, აგრეთვე რსფს რესპუბლიკის განსახკომის სასწავლო-მეთოდური საბჭოს მდივნის ამხ. სკატკინის მოხსენება იმ სამუშაოთა შესახებ, რაც საბჭომ სკოლების სასწავლო პროგრამების გასაუმჯობესებლად გასწია.

დასასრულ გამოვიდა რსფს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი ამხ. პოტიომკინი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესი ამოცანებია საყოველთაო სწავლების გეგმის უსასტიკესი შესრულება, სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, ზრუნვა მოსწავლეთა კულტურისა და ცოდნის ამაღლებისათვის. ამ ამოცანებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად, როდესაც სკოლაში მოვა შვიდი წლის ასაკის კიდევ ორმილიონნახევარი ბავშვი, როდესაც სწარმოებს სკოლების აღდგენა და ახალი სკოლების გახსნა განთავისუფლებულ რაიონებში. (საკდესი).

კინოებსა, თეატრებსა და კონცერტებზე მოსწავლეთა დასწრების ახალი წესი

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა დაადგინა კინოებსა, თეატრების სპექტაკლებსა, კონცერტებსა და სხვა სანახაობებზე 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა დასწრების ახალი წესი.

16 წლის ასაკამდე მოსწავლეებს აკრძალული აქვთ სასწავლო და კვირა დღეებში კინოფილმებსა, თეატრების სპექტაკლებსა, კონცერტებსა და სხვა სანახაობებზე დასწრება სკოლის დირექტორის (გამგის) ნებადაურთველად.

სკოლის დირექტორებს (გამგეებს) დაევალათ 16 წლის ასაკამდე მოსწავლეებს კინოფილმებსა, თეატრების სპექტაკლებსა, კონცერტებსა და სხვა სანახაობებზე დასწრების ნება მისცენ მხოლოდ უფროსების, მასწავლებლებისა და პიონერხელმძღვანელების თანხლებით. ნებართვის მიცემისას მხედველობაში უნდა მიიღონ მოსწავლეების წარმატება და ყოფაქცევა. ნებართვა შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმ სახის კინოფილმებსა, სპექტაკლებსა, კონცერტებსა და სხვა სანახაობებზე დასასწრებლად, რომლებიც შესაფერია მოსწავლის მომზადებისა და ასაკისათვის.

16 წლის ასაკამდე მოსწავლეებს შეუძლიათ ნახონ კინოფილმები და დაესწრონ სპექტაკლებს, კონცერტებს და სხვა სანახაობებს მხოლოდ საღამოს 9 საათამდე.

ორდენოსან ს. უსენაშვილის წარმატება

სიღნაღი („კომუნისტის" საკ. კორ.). სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ის ლენინის ორდენოსანი ტრაქტორისტი ამხ. სოფიო უსენაშვილი 5 თებერვალს შეუდგა საგაზაფხულო ხვნას. ის ყოველდღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებს, „სტზ" მარკის ტრაქტორით ოთხი დღის განმავლობაში მოხნა 38 ჰექტარი.

ი. სიმონიშვილი

ტუნგოს ჩაბარების გეგმის შესრულება

ბათუმის რაიონმა შეასრულა ტუნგოს კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური გეგმა. რაიონს გეგმით უნდა ჩაებარებინა 465 ტონა ტუნგოს ნაყოფი, ფაქტიურად მოკრეფილი და ჩაბარებულია გეგმის 107,3 პროცენტი. ტუნგოს ჩაბარება გრძელდება.

საქ კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი
ვ. სანიკიძე
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
მ. ყურშუბაძე

მწერალთა კავშირში

პარასკევს, 11 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბავშვო მწერლების სექციის სხდომაზე ამხ. ნ. ჩახავა წაიკითხავს მოხსენებას — „ქართული საბავშვო წიგნი სამამულო ომის პერიოდში". სხდომაზე მიწვეული არიან მწერლები, პედაგოგები და გამომცემლობის მუშაკები.

დასწრება თავისუფალია.

მებრძოლთა ოჯახების დასახმარებლად

თბილისის მე-98 საბავშვო ბაღი მებრძოლთა ოჯახების დასახმარებლად **11 თებერვალს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში** აწყობს დიდ საღამო-კონცერტს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ორდენოსანი მომღერალი ე. სოხაძე, ცომაია, ვრუბლევსკაია, კოვალსკაია, ბრაგინი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

„დრანგ ნახ ოსტენ"

„ზარია ვოსტოკას" გამომცემლობამ გამოსცა ბროშურა „დრანგ ნახ ოსტენ". ბროშურაში მოთავსებულია პროფ. ა. ერუსალიმსკის წერილი „დრანგ ნახ ოსტენ" („შეტევა აღმოსავლეთისაკენ") და აკად. ნ. დერჟავინის წერილი „სლავთა საუკუნოებრივი ბრძოლა გერმანელ დამპყრობლებთან". ორივე წერილი გამოქვეყნებული იყო „პრავდაში".

ბროშურა, რომლის რედაქტორია ვ. გრიგორიანი, შეიცავს 23 გვერდს და ღირს 1 მანეთი.

ლექციები და მოხსენებები

11 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. 41) კოლექტივის ხელმძღვანელთათვის შესდგება ჯგუფური კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა: **„ამხანაგი სტალინი ომში მუდმივად მოქმედი ფაქტორების შესახებ".**

12 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. 41) შესდგება ჯგუფური კონსულტაცია ქართულ და რუსულ ენებზე. თემა: **„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-10 სესიის შედეგები".**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თეატრებში

11 თებერვალს: **სახოპერა** — „პერიკოლა". **რუსთაველი** — „კრწანისის გმირები". **მარჯანიშვილის** — „მეფე ერეკლე". **გრიბოედოვის** — „სამი და". **სომხური** — „მონა ვანა". **ახუნდოვის** — „მაშდი იბად". **მუსკომედიის** — „კოლომბინა". **მოზარდი მაყურებლის** — ქართული — „სურამის ციხე". რუსული — „განდგომილი".

კინოებში

11 თებერვალს: **რუსთაველი** და **ოქტომბერი** — „ჯორჯი დინკი-ჯაზიდან". **დამკვრელი** — „შეიკის ახალი თავგადასავალი". **კომკავშირელი** — „ლედი ჰამილტონი". **სპარტაკი** — „ზეცა". **ლუქსემბურგის სახ.** — „სტანიცა დალნაია". **26 კომ. სახ.** — სომხური კინო-ჟურნალი.

მეუღლე ნინო, შვილები დავით, კოტე, [illegible], ვალერიან, ცუცა, რძლები ვარვარა, ნინო, ლუბა შვილებით, დები ლისა, ესმა, ელპიტე იუწყებიან **ნიკოლოზ ანდრიას-ძე ლესელიძის** გარდაცვალებას. დაკრძ. ქ. მახარაძეში 13/II, 4 ს. 146

დედა ოლია, ცოლი ვალია შვილებით, და მარო ქმრით იუწყებიან, რომ 13/II, I ს. კუკიის სასაფ. დანიშნულია **ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ბახტაძის** პანაშვიდი. 149

შვილები შოთა, ოთარ, ძმები, დები იუწყებიან **დარია ზედგინიძე-სალარიძის** გარდაცვალებას. გამოსვ. 13/II, 2 ს. ყაზბეგის, 25. 140

მშობლები ელიკო გოდერძიშვილი და გრიშა ნიქობაძე იუწყებიან დევიკოს გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. ტოლსტოის 4. დაკრძალვა 13/II, 3 ს.

მეუღლე ჟორა შვილებით, დები, ძმები იუწყებიან **ვერა გოგავა-ჩხიკვიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვ. 11, 12/II, 7 ს. გამოსვ. 13/II, 2 ს. ნაფარეულის, 11.

მულები პელაგია და ანა, საშა მაღალდაძე ქმარ-შვილით იუწყებიან **სოფიო კობახიძე-ხაბაზიშვილის** გარდაცვალებას. 139

მშობლები ნადია, პავლე, და ლილა იუწყებიან **შოთა შარაშიძის** გარდაცვალებას. პანაშ. 11, 12/II, 7 ს. კამოს, 43 გამოსვ. 13/II, 2 ს. 141

ივანე მაჩაბელი

(დაბადებიდან 90 წლისთავის გამო)

ივანე მაჩაბელი ქართული კულტურის ისტორიაში ჩვენს გულისყურს იზიდავს არა მარტო თავისი ბრწყინვალე ნიჭით, ორიგინალობით და მდიდარი შინაგანი სამყაროთი, არამედ თავისი პირადი ბედითაც, რომელიც დიდი ტრაგიზმით არის აღბეჭდილი.

1898 წლის 26 ივნისს ქართული საზოგადოება შეაშფოთა ცნობამ ივანე მაჩაბლის უკვალოდ დაკარგვის შესახებ. მხოლოდ უკანასკნელი ხანის კვლევა-ძიება იძლევა ნიშნებს, რომ ი. მაჩაბლის შემაძრწუნებელი დაღუპვის მიზეზები იმ ნაკვალევით შეიძლება აღმოჩენილ იქნას, რომელიც მეფის ჟანდარმერიის კარებთან მიდის, იმ კარებთან, საიდანაც წიწამურის ტრაგედიის შემაძრწუნებელი გეგმა გამოვიდა და განხორციელდა.

მესამე განყოფილებისათვის ნათელი იყო, რომ ი. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი ერთნაირი თავდადებით ემსახურებოდნენ ქართველი ხალხის ინტერესებს. 1885 წ. მთავრობის მიერ „დროების" დახურვასთან დაკავშირებით საიდუმლო მიმოწერაში საცენზურო კომიტეტი აღნიშნავდა: „ი. ჭავჭავაძისთვის „დროების" გადაცემა ყოვლად შეუძლებელია. გაზეთის გადაცემა ჭავჭავაძისთვის არსებითად ფიქტიური იქნება. საქმის ბატონად კი კვლავინდებურად ი. მაჩაბელი დარჩება... მათი ინტერესები ერთია არა მარტო საჟურნალო საქმეში".

ივანე მაჩაბლის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული გასული საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოვლენები. იგი ამ პერიოდის მეტად მიმზიდველი კოლორიტული ფიგურაა, რომელმაც პირველმა შესძლო შექსპირის გენია ქართულ მხატვრულ მეტყველებაში გადმოეცა. იგი სრულიად ჭაბუკი გვერდში ამოუდგა ილია ჭავჭავაძეს და ჯერ „ივერიის", და შემდეგ „დროების" ფაქტიური მესვეური შეიქნა.

ივანე მაჩაბელი დაიბადა 1854 წ. 9 იანვარს ერთ დროს დიდად შეძლებულ ფეოდალურ ოჯახში. მაგრამ მომავალი პუბლიცისტი ყრმობიდანვე თავისი ოჯახური მდგომარეობის მწუხრს შეესწრო და მთელი ჭაბუკობა მძიმე ნივთიერ პირობებში გაატარა. 1870 წელს ივანე მაჩაბელმა წარმატებით დაასრულა თბილისის გიმნაზია, სადაც მას მზრუნველობდა პოეტი გრიგოლ ორბელიანი.

1871-1874 წლების მანძილზე ივ. მაჩაბელს ვხედავთ პეტერბურგის უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველების განყოფილებაზე. იგი პარალელურად იურიდიულ დისციპლინებსაც ისმენს და ორივე დარგს ერთად ამთავრებს. პეტერბურგში ივანე მაჩაბელი გატაცებით ეწაფება ინტელექტუალურ ცხოვრებას, ახლო ეცნობა რუსეთისა და დასავლეთის მხატვრულ კულტურას და სოციალურ იდეებს. იგი გამოირჩევა იმ დროის ქართველ სტუდენტთა შორის ფართო გონებრივი ინტერესებით, ცხოველი ტემპერამენტით და უპირატეს ადგილს იჭერს თავის წრეში. აკაკი წერეთელი, რომელმაც ი. მაჩაბელი ინახულა პეტერბურგში 1873 წელს თავის მოგონებაში აღნიშნავს: „იმ დროინდელი სტუდენტობა... სამშობლოსათვის მოციქულ-მოწამეებად ემზადებოდნენ თავს! სწორედ ამგვარ წრეში იყო ჩამდგარი ივანე მაჩაბელიც. ერთი თვალისგადავლებით, როგორც შევიტყე, ის პირველთაგანიც იყო". პეტერბურგის პერიოდთან არის დაკავშირებული ივ. მაჩაბლის პირველი სერიოზული ლიტერატურული ნაბიჯები. იგი 1873 წელს გაეცნო და დაუახლოვდა პეტერბურგში საბანკო საქმეების გამო ჩასულ ილია ჭავჭავაძეს და მასთან ერთად თეთრი ლექსით თარგმნა შექსპირის „მეფე ლირი". თარგმანი ბრწყინვალე გამოვიდა, ქართულმა საზოგადოებამ იგი აღტაცებით მიიღო.

1874 წელს ივ. მაჩაბელი სამშობლოში დაბრუნდა და იმავე წლის ბოლოს აგრონომიულ მეცნიერებათა შესწავლის მიზნით გაემგზავრა ჰოჰენჰაიმის აკადემიაში (შტუტჰარტის მახლობლად), სადაც ორ წელს დაჰყო. იქიდან კი მონპელიეში (საფრანგეთი) ჩავიდა. მეცნიერების ახალგაზრდა ენტუზიასტის ინტელექტუალური და სულიერი ინტერესები თანდათან იზრდება. იგი სოციალური პრობლემებით დაინტერესებული მიისწრაფვის პარიზისაკენ, „ფილოსოფიის ამ ძველი უნივერსიტეტისაკენ", სადაც ისტორიული რელიკვიები მას ცოცხლად წარმოუდგენდნენ პარიზის კომუნის უკანასკნელ ტრაგიკულ სურათებს.

პარიზში ივანე მაჩაბელი ისმენდა ლექციებს სორბონაში. 1878 წ. ივანე მაჩაბელი პარიზიდან პეტერბურგს დაბრუნდა, სადაც ქართველ სტუდენტთა წრეში ლიტერატურულ მოხსენებებს კითხულობდა. 1879 წელს ივანე მაჩაბელი საბოლოოდ ჩამოვიდა საქართველოში და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მუშაობას მიჰყო ხელი. ცენზურა დევნიდა, მაგრამ რედაქტორი მაინც ახერხებდა ცარიზმის მსახურთა თვალის ახვევას და მკვეთრად იცავდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ იდეებს. 1885 წ. მთავრობა საბოლოოდ კრძალავს „დროებას", როგორც მთავრობის საწინააღმდეგო გაზეთს.

ქართულ საზოგადოებრივ საქმეებში აქტიურსა და ნაყოფიერ მონაწილეობას ივანე მაჩაბელი ათავსებდა ინტენსიურ შემოქმედებითს მუშაობასთან. შექსპირის უკვდავი ქმნილებების შემოქმედებითი ათვისება ქართულ ლიტერატურაში ი. მაჩაბელმა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. მან დიდი ღვაწლი დასდო ქართულ თეატრსა და დრამატიულ ხელოვნებას. ივანე მაჩაბლის მხატვრულ გამარჯვებას ერთნაირად უწყობდა ხელს როგორც მისი ლინგვისტური ერუდიცია, ისე მშობლიური ენის უებრო ცოდნა და მაღალი ესთეტიური გემოვნება. ივ. მაჩაბლის ესთეტიური შეხედულებანი ორგანულ კავშირშია მის მთარგმნელობითს შემოქმედებასთან. იგი „დროების" ფურცლებზე ვრცლად აცნობდა ქართულ საზოგადოებას დრამატიული ხელოვნების მხატვრულ პრინციპებს და რეალისტური პოეზიის კონცეფციას. 1885 წლის „დროებაში" იგი პოეზიის შესახებ სწერდა: „პოეზიას დიდი გავლენა აქვს კაცის გრძნობაზე და ამ მხრივ დიდ სამსახურს უწევს საკაცობრიო პროგრესს. იგი აკეთილშობილებს კაცის გრძნობას, მოქმედებს გულზე, ლაგმავს ბოროტს ინსტინქტებს".

დღეს, სამამულო ომის მრისხანე დღეებში პატივისცემით ვიგონებთ ივანე მაჩაბლის ნათელ სახელს, რომელიც ქართველ ხალხში ნერგავდა სამშობლოს სიყვარულისა და ჰუმანიზმის მაღალ იდეალებს.

გ. აბზიანიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-30-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00232